

1966

თბილისი, თბილისი

№4 (1230)

მეგობარი

ფასი 20 კპ.

გაგორების 43-ე წელი.

4
1966

მეგობარი
ბიბლიოთეკა




1966 წლის 3 თებერვალს, 21 საათსა, 45 წუთსა და 30 წამზე მოსკოვის დროით, საზოგადოებრივი ავიატორი სადგური ნარნარად დაეშვა მთვარეზე. 4 თებერვალს, მიწიდან გრძელად დაეშვა, სადგურზე დაიწყო მთვარის ლანდშაფტის გამოკვლევის დამოუკიდებელი გადმოცემა. კოსმოსის ათვისების საქმეში კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა.

გველოდე, მთვარევი! ახლა ჩვენი, კოსმონავთების, რიგში!

მთვარის შესაღებით მოისმინეთ რომანტი—
„მე შენ გავლი“

გ. მ. მალაზონიანი





გეორგიშვილი გ. ფირსალაშვილი

პარტული საბჭოთა მწერლობის ვეტერანს — სიკო (სვიმონ) ილიას ძე ფაშალიშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. 55 წელია, რაც იგი ნაყოფიერსა და მრავალმხრივ შემოქმედებით მუშაობას ეწევა.

გულწრფელი და მოკრძალებული პოეტი, დაუნდობელი სატირიკოსი და ხალასი იუმორისტი, შესანიშნავი მთარგმნელი და კეთილსინდისიერი მეგობარისტი, კარგი დრამატურგი და კინოსცენარისტი, ბრწყინვალე ჟურნალისტი და დიდი პატრიოტი, — ასე იცნობს სიკო ფაშალიშვილს მადლიერი ქართველი მკითხველი.


სიკო ფაშალიშვილი სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა იუმორისტულ-სატირული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

იგი იყო წამყვანი თანამშრომელი 1910 წლიდან მოყოლებული საქართველოში გამომავალი ყველა სატირულ-იუმორისტული გამოცემისა. მისი სახელი განუპრებლად დაკავშირებული ჩვენს ჟურნალთან. „ნიანგის“ გამოსვლის პირველი დღიდან — 1923 წლიდან იგი მისი აქტიური მუშაკია, ხოლო 1939 წლიდან 1958 წლამდე შეუცვლელად მუშაობს ჟურნალის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე, უანგაროდ და თავდადებულად ემსახურება ქართული სატირისა და იუმორის განვითარებას. ს. ფაშალიშვილი ფარსადანის ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის იუმორისტულ და სატირულ ნაწარმოებებს. ვის არ წაუკითხავს ფარსადანის „მხიარული წიგნი“, „ფარსადანა თქვა“, მისი სატირულ-იუმორისტული ლექსები, მოთხრობები, ფელეტონები, კრიტიკული თუ მამხილებელი წერილები.

„ნიანგის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს თავის ერთგულ მეგობარ ფარსადანს. აყვარებულ მწერალსა და მოქალაქეს, ძვირფას სიკოს 70 წლის იუბილეს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

„ჩივო, ჩივო, ჩიორაო“-ს
ფარსადანისაჲს „თარგმანი“

— პტიცა, პტიცა, პტიციცაო!	ესიო სრაზუ პრინესიომ —
— ჩტო, გოსპოდინ ლისიციო?	ტაპორიცა, პილიცაო,
— ოდინ პტენცა დაი, ატო,	დუბა სვალიმ,
ტვოი, კონეც ბლიზიციო!	ზუბა სვალიმ,
	სკუშიმ შენც და შვილიცაო!



მივხვდებით

ნიანგმა ჯოჯოხეთში მიმავლინა. მისთვის ამგვარი საქმე ძნელი როდია. მიმისმო და ულვაშებში ჩაღიმებით მკითხს:

— ფარსადან! თქვენი დღესასწაულისათვის რას აპირებ?

— ზეიმს, სიხარულს!..

— არა, მე სხვას გეუბნები: „ნიანგისთვის“ შენი ძველი მრევლის გასხენება არ გწადია?

— ჰაი-ჰაი, რომ მწადია, მაგრამ სადღაა ძველი მრევლი! ისინი საიქიმში არიან, უფრო სწორად — ჯოჯოხეთში.

— მერე და, გაიარე ჯოჯოხეთში. რა ძნელი საქმეა! საგზურს მოგცემ, სამივლინებოსაც ჩვენი ბუღალტერი ორმაგად გამოგიწერს, თუ გაწეული ხარჯების საბუთებს შემოწმებულს და ბეჭედადარულს წარმოადგენ საიქიოდანაც კი.

ასე იყო თუ ისე, დანიშნული დროისთვის ჯოჯოხეთში აღმოჩნდი. არაფრის გულისთვის „უმაღლარიო“ არ შემისვია მეკარე ემზაკმა. დაბლობით ისეთი პროცედურის გავლა მომხდა, როგორც, მაგალითად, ჩვენებურ საავადმყოფოში ავადმყოფის სანახავად შესვლის დროსაა საჭირო: ჯერ მეკარეს უნდა აჩუქო, მერე ექთანს, შემდეგ კი სხვას. ან ჩვენებურ მატარებელში ჯერ გამცილებელს, შემდეგ ობერგამცილებელს, მერე კონტროლიორს და ასე შემდეგ...

მაგრამ სიტყვას ნუ ავცდებით. მე ჯოჯოხეთში ვარ. ერთ-ერთი კანტორის საქმისმწარმოებელი ემზაკი ქალი, ანუ, როგორც იქ ეძახდნენ, ემზაკუნა, მე-ასევე მეუბნება, რომ მის უშუალო ხელმძღვანელ ემზაკს არ შეუძლია ჩემი მიღება, რადგან მას საქმიანი თათბირი აქვს.

— გაიგეთ, მოქალაქე ფარსადან, რომ ჩემი უფროსი დატვირთულია, სასწრაფო თათბირი აქვს, გემეებს ადგენს

— კი, მაგრამ, მე კარების ჭეჭრუტანიდან ვმდებარე, რომ იგი უსაქმოდ ჩასვენებულა საგარეოში და ბუზებსა ყლაპავს.

— მერე და ბუზების ყლაპვა თქვენ საქმე არ გგონიათ? — წიწმაცობდა ემზაკუნა, — გეტყობათ, თქვენ ინტრიგანი უნდა იყოთ, თორემ მივლინებას ჯოჯოხეთში არ აირჩევდით!

უკან უხმოდ გამობრუნებული, ჯოჯოხეთის ბაღის ერთ დაბურულ კუთხეში ჩამოვჯექი. ჩემი ყურადღება მიიპყრო ოდესღაც ნაცნობმა ლაპარაკმა, სხამ, სიტყვებმა, კილომ... კლდის ქიმს გადავხედე და კაკტუსის ძირში, სკამზე ჩამჯდარი, დავინახე თბილისის ყოფილი „ღრუდანიების“ ტიპები. ისინი იყვნენ ისე, როგორც ოდესღაც აქ, თბილისში, ვთქვამთ, — პუშკინის ბაღში, დიდი ჭადრის ქვეშ ბურუსის სრუტაგანდნენ. დარდადნენ უყურებდნენ თავიანთ დაკარგულ „სამოთხეს“, ახალ დროს ემდუროდნენ, ძველზე ოცნებობდნენ და იმ ძველს ნატრულობდნენ. ეს მაშინ, როცა აქ ჩვენი ახალი ცხოვრება იფურჩქნებოდა, მტკიცდებოდა და საამური ხდებოდა.

ისინი და სევდიანად მუსაიფობდნენ. მე იმ მონეტში მივუსწარი, როცა ყველაზე ნაცნობი ტიპი — საქო ამბობდა მწარე მონოლოგს ოცდახუთ თებერვალს მომხდარი „პერეფარტის“ თაობაზე.

— იძახიან, დღეს დიდი ობა აქვთო, ოცდახუთ თებერვალს პრანციკოტენო! ვერია! იმ ბეჭურაზემან რამდენი ხანს გასძლეს! გამიშვით რაღა, მეც ერთი რამე ვასამინანია გქნა, გულის ბოხარი ვიყარო! მაგრამ რა ვთქო? მოთვლა არ უნდა?

მეწვევებები ხომ გახსოვთ? აფსუს, ჟამანა! რა გვიჭირდა მაშინ ჩვენი პატივის ხალხსა: ისინი თურმე ჩვენი ძმები და პირის ზიარება იყვნენ, ჩვენთვის ზაბოტა ჰქნამდნენ, ბურჯუებთან, თავდაზნაურებთან კავშირი შერებოდნენ, რაღა!

ასრ, თანაც რამტოლი გრანიცის სასელმწიფოები მაიყვანეს და! გავიხედამდით — ბაუპუ-ლემენცი ბატონოზს და თავის პარიატკებსა შერება ამ ჩვენ ქალაქშია. სვალ ვნახეთ — ანგლიჩანის სასელმწიფო გამხდარა ჩვენი ხაზენი, მემრე იტალიანცის პოლონიკი გვიკეთებს რასპრიცენიებსა. ჰე-უ, ვინ მოსთვლის ეს საქართველო გასტინიკად გახადეს, რაღა! ვი-საც უნდა, ზამოლის, ვისაც უნდა — გადის!

ამას ვინა სწუხობდა? ჩვენ რა გვიჭირდა. პამა, ერთი რამე არ მომწონდა: თვითონ მინისტრობა ქნეს, ჩვენ კი პაკარაკი რამე პარუჩენიობი გვიყვებს: გეოჯან. წადი ყარაიანში და შემა სჭყრო!

მერე სად? ტყეში... ბნელა? ტყეში ტურა არ არი? კურდღელი, მელა და ამისთანა ხიშინი რამე ტყეში არ ცხოვრობს? ერთიც ვნახეთ: ხესა ვჭრი, ხის ძირში

ტურა ზის, ნერე? უნდა შამპანოს, რაღა, უტერტე-როდ და უზიარებლად!

ასრისამანში მუშებმაც მალე გაუგეს, გლენებმაც! თვალები მაიფშენიტეს და, როცა იმათი ჩირთი-ფირთები ნახეს, ბუნტები ქნეს, გახსოვთ, რამტოლი ის-პუგი მოგვსვლია?

ერთიც ვნახეთ და ოცდახუთ თებერვალი გათენებულა. ქუჩებში პარიატკები დამდგარა. ხალხი გამოფენილა, დუხოვის მუსიკა უკრამს, ქალაქი მღერობს. იმათ ისეთი საზეინები გამხდარან რომა, ყველაფერი დაუსაქოტრებიათ — ჩვენი სახლები, დუქნები, ფაბრიკები წაუღიათ, არც გვეცხამენ — თუო ეს ხალხისაა. სასელმწიფოს ეკუთვნის ყველაფერიო. ასრ, გაუმაძღრებიც გამოდგნენ და: ჩვენთვის წართმეული არ იკ-მარეს, თვითონაც მამენტალნად დაიწყეს ყველაფრის აშენება: აქეთ ფაფრიკები, იქით ლისტრიცის სტანციები, იმას იქით — სახლები, სკოლები, ქუჩები — კულტურნი რამეები, პამაც ეს ბნელი ხალხი სულ ნასწავლი გახადეს. მაშ, ეს სამართალია?

ამითაც რომ ველარ გაძდნენ, მემრე სხვადასხვა პიტლეტკები გამაიკონეს. შაადიენს დიდი პლანი და ისიც მამენტალნად შასარულეს. პო, მეც იმაზე მოგ-კვდი, რაღა! ნალოვების პიტლეტკაში შაუტანიათ ჩემი ქათამი და მეუბნებიან, შენმა ქათამმაც პერევი-პლანგინა უნდა ქნას, დღეში ხუთი კვერცხი უნდა დადოს!

აბა, ყურთი უდგეთ! იძახიან, თუ საქართველო ყვავის, თბილისი იფურჩქნება, შენდება, ხალხი ბედნიერი! და ამიტომ ოცდახუთი თებერვლის დიდ პრან-ნიკს შერებიანო! ვაჰ, აყვადებდა, მაშ, რა დოზანა მოუვა, თუ ამისთანა ნებაიჩნი რამეები ქნეს?

ამ სიტყვებზე ბაუზა გააკეთა, სული მოითქვა, მისმა თანამოსაუბრებმაც ცრემლები მოიწმინდეს. უცებ, ჩემსკენ ამოიხედა, დამინახა, „ემშიში“ გახდა. მერე სწრაფად წამოხტა, თავისიანებს რაღაც უჩურჩულა და ყველანი უხმოდ გაისუსნენ.

მე კი იმ საქმისმწარმოებელ ემზაკ ქალთან შეგბრუნდი, რომ მივლინების საბუთებზე ბეჭედი მაინც დაეკრა. არა, ემზაკები წავიდნენ ჯოჯოხეთში, მე აქ, თბილისში, ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ზეიმზე მომეჩქარებოდა.



ჩემს ბიჭთან ერთად თამაშობდა, ქალაქში რომ ჩავდიოდით. ტოლები იყვნენ. 2-3 წლის გოგონა თეთრი ბატკანივით დაბაკუნებდა და დახტოდა მოასფალტებულ ეზოში. ელლა ერქვა გოგონას. აივნიდან ვტკბებოდით ელლას და ჩემი ხნაპა ბიჭის ცქერით.

ელლას მამა სეროფიან წყალს ყიდდა უნივერსალის შესასვლელთან. ფუტკარივით ეხვეოდა ხალხს. განსაკუთრებით, გაზაფხულზე და ზაფხულში ბზუოდა მუშტარი ელლას მამის სკასთან. დაეწაფებოდნენ მოტკბო, მუშუნა წყლით სავესე ჭიქებს სიცხით გაბრუნებული ადამიანები, ერთ ჭიქას ყლუპით გამოცლიდნენ, მეორეს — ყლაპით, ცარიელ ჭიქებს ძლივძლივობით გადასცემდნენ დასიცხულ თავ-კისრებზე და უნივერსალში შედიოდნენ. და, ერთ ზაფხულსაც, დიდი, შავი როიალი მოაგორა ელლას მამამ. კინალამ დაღეწეს კიბეები ღვედიანმა მუშებმა, სადამომდე ძლივს შეიტანეს შავი გიგანტი ოთახში.

ამ დღიდან მოყოლებული, იშვიათად ჩამოდიოდა თეთრი ბატკანი ეზოში, დედა აღარ უშვებდა ელლას ეზოში სათამაშოდ. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ! — დაბაკუნებდა თეთრი ბატკანი როიალზე. ბიჭი სხვა ბიჭებთან შეეჩვიოდა თამაშს. ხანდახან ელლაც გამოეჩინებოდა ხოლმე ბავშვებში და, სხვებთან ერთად, თამაშობდა.

ზაფხულის ბოლოს უკვე მორიდებით ხტოდა ელლა ეზოში.

ისე მოხდა, რომ სამ-ოთხ წელს ვეღარ ჩავდიოდით ქალაქში და მხოლოდ წერილობითი ძაფებით-და გუკავშირდებოდით ქალაქელ ნათესავებს. ელლას შესახებ გვწერდნენ,

ნიჭიერ ბავშვთა ათწლეულში მასზე უკეთ არავინ უკრავს.

ერთ ზაფხულსაც ჩავდიოდით. ჩემი ბიჭი უკვე შვიდი წლის იყო და იმ შემოდგომაზე უნდა მიგვებარებინა სკოლაში. ეზოში ვიღაც დაჯოშოლი ქალი იდგა ზურგშექცევით. რომ შემოვრუნდა, გავვოცდი: ძლივძლივობით ვიცანი ელლა. სავესე მთვარესავით მრგვალი, მშვიდი სახე შემოგვახატა. პატარა ქალს დამსგავსებოდა, თეთრი მუთაქებივით მოუჩანდა მსუქანი, ზრდადასრულებული ფეხები მოკლე კაბიდან. ჩემმა ბიჭმა ელლა ვერ იცნო, ტყვიასავით აირბინა კიბეები და ჩვენს შესაგებებლად აივანზე გამოსულ ბებიას გადაეხვია. ელლას სახეზე ნაცნობობა ვერ ამოვიკითხე.

— Здравствуй, Элла! — გაუბედავად მივესალმე.

— Здравс!... — მომიგდო დაუმთავრებელი, ბოლომოჭმული სალამი ელლამ.

— Элла! — გაისმა ელლას დედის მჭექარე ძახილი.

— Иду, Маа!... — უგემურად მიაცოხნა ელლამ დედის ძახილს და სპილოს ნაბიჯებით გაემართა შინისკენ.

სალამ-ქალამი, აბაზანა, სიდდერი, ვახშამი, თვლემამორეული აქეთურ-იქითური ვახშმისას... ადრე დავწევი დასაძინებლად.

— რას-რას, რას-რას, რას-რას! — მესმოდა მეზობელი კედლიდან ელლას დედის სალდათური, რიტმული თვლა. ათივე თითით ერთდროულად გლეჯდა ელლა ურთულეს აკორდებს ყოველი „რას“-ის შემდეგ. ბახ-ბუხ, ბახ-ბუხ, ბახ-ბუხ! — თეთრი სპილო დადიოდა კლავიშებზე გვიანდამემდე.

მეორე დილას ადრე ავდექი.

ბახ-ბუხ, ბახ-ბუხ, ბახ-ბუხ! — ჩემზე ადრე ამდგარიყო თეთრი სპილო. რას-რას, რას-რას! — თან სდევდა ელლას აკორდებს დედის მბრძანებლური, სალდათური თვლა.

ჩვენ, ყველას, ჩვენი საქმე გვაქვს!..

მერაბ ელიოზიშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



— რაღა ეს მელა მოგიკლავთ, არ მიცოდებით, აწი დანაქლისი აღარ გაქნებათ!


— მაგას ვერ შეგვირღებოთ, ვითომ ამ ცხონებულს, შვილები და შვილიშვილები არ ღარჩაბოდა?

მ. აბაშიძისა

საკუთარ თავს ავუხირდი, საქმე გამოვუჩინე, გამგეს უხეშობისათვის დირექტორთან ვუჩივე. დირექტორმაც ეს საკითხი ერთი დაკვრით „გადაჭრა“, — ჩემი საქმე დასკვნისათვის ისევ გამგეს გადასცა. გამგეც მყისვე დატრიალდა, ჰოდა... მოგვიანებით, ჩემი შტატი გააუქმა, „შეფს“ აცნობა ბრძანებით. კვლავ ვიჩივე, უფრო ზევით — მმართველამდე ავედი. უსაფუძვლოდ დავისაჯე, როგორ არ ვიღავებდი? მმართველმაც არ დააყოვნა და გრძელ რეზოლუციით, საჩივარი კვლავ დირექტორს დააკისრა ფუნქციით. დირექტორმა — ისევ გამგეს, გამგესთან წრე შეიკრა, ჩემს გარშემო უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა შეიქნა. ვდგავარ ახლა, უნებურად, ხაფანგში თავშერგული; ასე ხდება, ალბათ, ყველგან, სადაც წრეა შეკრული!


პრ. ჩიქვილაძე

ნახ. ა. კანდელაკისა



— ენაცვალოს ღედა! რაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, კომბაინს არ ცილდება!

სექტატული დაიწყო. მარცხენა ლოყა-
ში მსხდომმა სამმა მამაკაცმა, უარდის
გახსნისთანავე, გახსნა პირი და ისეთი
ხარხარი ატება, მაუროტელებიცა და მსა-
ხოობებიც, მათ მიაჩერდნენ. ლოყაში
მსხდომთა სიცილი ვერსულად გრძიბივთ
დადგომლ პატრტრის წინა სამ გრძივთ
მსხდომთ. ისინი ცალი თვალით ლოყის-



სახლიდან ნაგვის ბატანის
ხუთი ხარბი, შემუშავებული
„ნიანგის“ მძიარ.


 კენ იუტრებოდნენ და თან
 ერთმანეთს ექაბრებოდნენ
 სიკეთის, დახარკენ მათუ-
 რებელში. ეს გადამღები
 სიკეთი არ გადასდებოდა.
 დაღვრებოდები ისინი
 მაინტერესებდნენ. კამედი
 დამთვრდა. ის იყო ფარდა ჩამოშვების,
 რომ წინა რიგიებიდან შეზახნის ქალი წა-
 მოვიდა და შეშინარწენი ხმით დაიკი-
 ჟაჟა:

— ავტარა ავტორა
— რეისონარა კომპონატორა — აღ.
რიალდა მღვდელმთავრომ მამაკაც.
ფარდა გაიხსნა. სცენაზე ჭიკაძე-ჭიკა-
ძეი გამოუვანეს ის სამი მამაკაცი, მარ-
ცხენა ლოგოში რამ ისხდნენ და თოქლი
სპექტაკლის განმავლობაში სიცილისგან
თავებს უჩაჩქურდებდნენ ერთმანეთს. პა-
რატრის წინა რაგზეც მხედნენ მშობე-
ლიერ-დედამამოვიდრან. ნათესაური სიყ-
ვარულით შესცქეროდნენ მათ და გავი-
ტებიან სკეჩებზე დას...

၈. ၁၈၀၃၂၆၀



ნახ. ჯ. ლოლუასი

— არა, ავადმყოფი თანამშრომლის ნახვა მომწადდა და გოგუჰვანის!

2501 7251614 325 813215

დიდი ხანია, ჩვენებურ ქელებს არ დავსწრებოდი და, გასულ ხუთშაბათს, შემთხვევამ ერთხელ კიდევ მომახვედრა ამ მამაკაცურ ჩვეულებაზე.

სუფრის ბოლოდან ენერგიულად წამოიჭრა ერთი საბავშვოთლებუ-
ლი ახალგაზრდა და ღვინით სავსე ჭიქა ჰადარაშერთული, სიმათი-
რი ჯარჯნობის მამაპაპისკენ გაიშვია:

— ამხანაგებო! დღევანდელი სამეცნიერო სუფრის თამადად უფროსად ვასახელებ ჩვენი კათედრის ბურჯსა და ამ ოჯახის უაზ-

როგორც მოსალოდნელი იყო, თამადამ ცოტა შორიდან დაიწყო: გაიხსენა ოჯახის მამა, რომელიც ამ ოციორდე წლის წინათ მია-

ბარეს მიწას. მოხაზა ოჯახის მოკლე ისტორია. განსვენებულის მო-
ღვაწეობის არც ერთი მხარე არ დატოვა გაუშუქებელი.

— შეიძლება გიყვარო, მაგრამ შენს სიყვარულს, შენს
შვილებს. იმათ შვილებსაც მოესწრებოდა, მაგრამ, ხომ იცით, რა
გაუტანელია წუთისწყელი! — ხმა აუკანკალდა მირმდიონს.

— ახლა კი — თამაშად მისამი ჩაის ჰიქა გაბოჯა. — ამ ოჯა

ხის უმცროს ქალიშვილს, ჩვენი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მე-
ბაჟს, ყველაანათვის ძვირფას თათუშას გაუმარჯოს! თათუშას ხან-

რეზოლუცია, დაამტკიცა შემოთავაზებული წყალობის მოხსენიება, შეა-
რბო! მისმა ბრწყინვალე საკანდიდატომ — „აგლუტინაციის რა-
ფინირებული ფილმები თანამედროვე ჰინთუტში“ — ვიწრო სპე-

ცნაღისტების საყოველთაო ყურადღება მიიქცრო. საიდუმლოდ მან
და მოგახსენოთ, რომ ჩვენი თათუშა ყვე შეუღბა სადოქტორო
მუშაობას!

ჯგერის სუფურის წვერებზე მდებარე. ყუბაშია ნაპრალონის მონასტერი. ლიონშია, პრაგის ტაძრის ნიშნად. ჩინეთშია მუხომესა და ლიონის ტაძრის ნიშნად.

გაცალეთ ერთმანეთს ლაპარაკი რა მოხდა? თითქმის ერთი ოჯახი ვართ, ერთი კათედრის ხალხი, ბოლოს და ბოლოს, პატივი ვცემ

გაგონილი მჭონდა ქართული სუფრა აკადემიაში და ახლა, სა
ბოლოოდ, დაგრწმუნდი ამ ნათქვამის სისწორეში.

გადიდებულმა სურათებმა კედელზე კანაობა დაიწვეს.

თან უკარგებოდა. თამადა თვალს ვეღარ უსწორებდა სუფრის წვერებს.

— ჩვენი დღევანდელი სესია შემოაბას განგრძობის, — ეს პ
თქვა ბოლოს და ოთხი ლომივით ვაჟყავი წელში შეუყარდა.

წაქცეული თამაღის სადღეგრძელო: ბუ კი, ამ შემთხვევის შემდეგ დავიფიცე, რომ ქელებში ჩემს ფეხს ვერავინ ნახავს. თუ მაინცდა

მინც, წაგულ და იმ კათედრის სხდომას დაუწესრები.

არველუდი ჟინფავა

(გარეუღია)

რა შიორი გამოგიტყვა,
ან რა ლექსი გიწერდა,
ქალაქად ბიჭს შევასოდი,
დღეს კი ამბობ: დიდმოლო!
ზოგჯერ ბინც კი შემღება,
გვაკაუნებ კარი-ვარ,
ზოგს გვწონივარ ქათმის ჭურდი:
„დადიშთო, არიჭი“
გადავწყვეტი: ჩემი ძებნით
ხალხი რომ არ დაწყვეტოტ,
გავადიდო სურათი და
შესასხაოლოდი დაკაოტ.

შენ კი ცენტრში ტაქსით დაჰქრი
მე არ მშველის ვილისიც,
ახ, ნეტავი ერთად იყოს
მასივი და თბილისი!

ჩვენი ბინას ვერ შეედრება
ძველი ხუროთმოძღვრება,
აცხიკებ და კარ-ფანჯარა
უხმაუროდ მოძვრება.
მშენებლებს არ ეკითხებათ,
არც ცოდვა და არც ბაღლი,
კედლებიდან ფისი მოღუსს,
პარკეტებიან — ასფალტი.

შენ ბუღბუღის ხმით დაჰგაღ
მე კი ვბლავი ხარის ხმით;
ახ, ნეტავი ერთად იყოს
შენობა და ხარისხი.

რაც ნამუშითვი ბარგი გვექონდ
ყველა გარეთ გვიდგია,
ოთახები პატარაა,
აფუჯი კი ღიღია:
შიფონერიც გარეთ გვიდგას,
ვინ გაუმართეთ ოთახში,


კომუნისტურ გვერუდებს:
„სტანდარტია მოდელი“
ბარუსი გატანა მუშაკთა
წესდები-მეც თეძოში,
კარტში არც ტანტი შუდის,
ყველა იწვევართ უწოში.
შენ ბუნებულუ გიძინას საბლში,
მე მუშავს გარეთ სლოკინი,
ახ, წაჭტა ერთად იესო
ოთახი და ლოკინი.

მის. გოგიაზილი

მის. გოგიაშვილი



ნაბ. ჯ. ლელუაშიძე



აგრეთვე დიდი წინადაცა



უცხოელები სწავლობდნენ.

სადისერტაციო თემაები

შეპირებისამებრ, ვაგრძელებთ სადისერტაციო თემების სარეკომენდაციო სიის ბეჭდვას. უკვე მოგვივიდა აურაცხელი წერილი, რომლებშიც დამწყები მეცნიერები მადლობას გვიცხადებენ და გვთხოვენ, შეძლებისდაგვარად, მეცნიერების ყველა დარგს შევხვით. ამოცანა გავგირთულდა, მაგრამ ნიანგი ჩვეული სიბეჯითითა და შეუდრეკელობით განაგრძობს კეთილად დაწყებულ საქმეს.

11. რა შეიძლება აღმოჩნდეს ინდაურის ჩიჩაბვში (ათა-სამდე ჩატარებული ოპერაციის შედეგები).

12. კინტოს შარვლის სიგანის მერყეობა ეკონომიურ კონუნქტურასთან დაკავშირებით (ეთნოგრაფიული დაკვირვებანი).

13. საპნის ბუშტის აეროდინამიკური თვისებები დახურულ შენობაში და მის გარეთ.

14. შავი ჯდვის გავლენა სოფ. წაბლიაურის (ლაგოდუხის რაიონი) პავაზე.

15. მდინარის თევზი და მასთან ბრძოლის უახლესი მეთოდები.

16. „ცოლი გამიდიდგულდას“ ტექსტის დადგენისათვის (ფოლკლორული ძიებანი).

17. მშობლების როლი შვილების გამაიმუნების საქმეში (ახალი მასალების მიხედვით).

18. საქალაქო ტრანსპორტის არიტმული მუშაობის თეორია და პრაქტიკა (ქ. თბილისის მაგალითზე).

19. „თხამ შეჭამა ვენახის“ სოციოლოგიური საფუძვლები (ნარკვევები, წიგნი I).

20. დისერტაციის წარმატებით დაცვისა და „დისერტაციის“ ორგანიზებულად ჩატარების მეთოდთა.



— სიუ! ტაძსი!..



ერთი გულჭრელი ჩიტუნა, სახელად ბოლოქანქალა, ტრესტის მმართველად დანიშნეს, მისცეს ცინცხალი მანქანა.

ჩიტს ის უკვირდა, — მას რით-ღა ხიბლავდა წუთისოფელი, ვისაც ცინცხალი ავტოთი არ აკითხავდა შოფერი. რადგანაც ბოლოქანქალას მმართველის ქუდი ეზურა, ფრთოსნებად აღარ მიაჩნდა ღობემძვრალა და ბედურა. მთელი თვე, კარჩაკეტილი, აკომპლექტებდა აპარატს: მდივნობა კაჭკაჭს მიაწოდო, დირექტორობა — ჯაფარას. ბულბული მოხსნა, თუმცა-ღა, არ ჰქონდა ამის საბაბი. ბულბულად ძერა დანიშნა, ეკონომისტად — კაკაბი.

ბოლოქანქალას ზურგსუკან ძრახავდა ტრესტი მთლიანად, საყვედურების ქარბუქმა ააწვივცა ააწრიალა. ტრესტის მმართველის ხასიათს ძმამაც ვერ შემოუარა. მითხარით, ბოლოქანქალა სწორად მოიქცა, თუ არა?

ქიშვარდ ისაბამი



ნახ. ბ. ფირცხალავანი

— ქალაქში მივდივარ და რა გადავცე თქვენთვის?
— რასაც მიუბან, პველაფერს მიიღებანი!

ნიანგის იუმორიული კონსულტაცია

კითხვა: გავცილდი ცოლს, რომელთანაც მყავს სამი შვილი. სამივე შვილი ცოლს დაუტოვე. ცოლყოფილმა სასამართლოში მიჩივლა ალიმენტის თაობაზე. სასამართლომ დამაკისრა ხელფასიდან 50 პროცენტის გადახდა.

გადაწყვეტილი მაქვს, შევირთო სხვა ქალი და შევექმნა ახალი ოჯახი, მაგრამ, განახევრებული ხელფასით, გამიჭირდება ოჯახის შენახვა. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათი და როგორ მოვიქცე?

ს. ბარმცხილი

პასუხი: შეღავათი კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ერთი გამოსავალი არსებობს: ცოლად უნდა ითხოვოთ თავზე, ან ქმარზე ხელაღებული ქალი, რომელსაც მყავს სამი შვილი და ყოფილი ქმრისგან იღებს ალიმენტს. ამ გზით, სწორად დაბა-

ლანდება თქვენი ახალი ოჯახის ბიუჯეტი.

კითხვა: მეზოგელმა ჩემს მამართ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა დამხმარე სათავსოებით სარგებლობის უფლება. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩემი ინტერესების დამცველად ადვოკატი ავიყვანე და მისი გასამარჯელო წინასწარ გადავიხადე, როგორც ნიხრით, ისე — უნიხროდ. ადვოკატი მარწმუნებს, საქმეს აუცილებლად მოვიგებთო.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ მოიგებს?

ლ. გოთავიშვილი

პასუხი: მოიგებს თქვენი ადვოკატი, თქვენ კი მოიგებთ მამინ, როცა საჩივრების წერას თავს დაანებებთ და ტკბილმეზო-ბლურად იცხოვრებთ.

კონსულტანტი ვ. ხმალაძე

ნახ. შ. აბაშიძის



— როგორც ირავება, ჩვენი წინაპრები ბალზირიან ბინებში ცხოვრობდნენ!

ქვეყანაში უკონიკა

რუსულ-ქართული
სიტყვები

- Стенография—კელელე ჯღაბა.
- Автомат—აფოს დედა.
- Сад—სად?
- Родинка—პატარა სამშობლო.
- Парус—წყვალი უღვაში.
- Кустарь—ბებერი კუ.
- Ассимиляция—ასი მილიციელი.
- Брак по итальянски—უწი იტალიურად.
- Шавель—შაველ (ყარაოლულად).
- Предложение—დაწოლის წინ.
- Распятие—ერთჯერ ხუთი.
- Грузни муштина—ქართული ვაჟკაცი.
- Вариация—მოხარშული კვერცხი.
- Проволка—მგლის შესახებ.
- Природа—მშობიარობის დროს.
- Не приелоняться—ნუ ესაილოებო!
- Обжора—ქორას შესახებ.
- А как?—აკაკი?
- Окоп—აკოფა.
- Обетованный—ბეტონმოსხმული.

— შეირთე, ბიჭო, ცოლი, შეირთე! რო გავსივები თავ-მუცელი რაქიტანოვით და ეს ოცდარვა წლის კაცი კი ოცდათვრამეტისას დამსგავსებინარ, რას აპირებ, თუ იცი?! სანამ გინდა ასე ცალად იარო?! შენ რომ იცოდე, რა ტკბილია ცოლ-შვილი, მაშინ კი არ იზამდი ამას! გეყოფა ამდენი სწავლა, აწი შენ თავს მიხედ! — ეს სიტყვები ახალი წლის მოლოცვამდე მომავალა ცხვირბირში შეზარსოშებულმა ბეგლარმა და ცალი თვალით აბორსოცვულ სუფრას გადახედა.

— ამ ახალ წელს მაინც მომასვენე, თუ კაცი ხარ და შემოდი შიგნით! — მკლავზე წავეპოტინე ბეგლარს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! გასაყიდ თხასავით რომ გაჩიხა ფეხი, ვერაფრით დავიყოლიე.

ბოლოს, კარის ზღურბლთან, პირიბა დამადებინა, რომ მომავალ ახალ წელს მეორე ნახევრით და ტყულების აკენებით დავსვდებოდი და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოთავაჯა ზღურბლს.

— იცნობდეთ, ბიჭებო! ჩემი ბიძაშვილი ბეგლარ ბენდუქიძე გასლავთ!

ბიჭებიც დაფაცურდნენ, „ჩაიროჩ-ჩამოიჩორეს“ და ბეგლარი ჩემს გვერდით მოათავსეს.

— არა, თქვენ მაინც მითხარით, ცოდვის გადიდება არაა ასლა ამისთანა ოქროსავით ბიჭს ერთი კი გოგო არ უშვებდნენ გვერდს? არა, რას უცდის, ბატონო, რას?! — მიუბრუნდა ბეგლარი ჩემს ამსანავს.

— დისერტაცია აქვს, ბატონო ბეგლარ, ამ წელიწადში დამასკავი და ხომ იცით!..

— რას მიქვია დისერტაცია? რომელი დისერტაციის დასაცა შედრება იმას, ყოველ 15 რიცხვში ცოლი რომ თავფლად დაგადნება თავზე.

მრავალმხიერის წამოწყებით შევეცადე ჩემთვის ამ არასასიამოვნო (უფრო სწორად, სიტუაციისთვის შეუფერებელი) საუბრის შეწყვეტას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გრძელი მრავალმხიერი წამოვიწყე, მაინც ოდესმე ხომ უნდა დამემთავრებინა

და... რომ დავამთავრე, ბეგლარმა სადღერძელის ნებართვა ითხოვა. დავაბულდი, ვიფიქრე, იქნებ დაავიწყდეს ამ თემაზე ლაპარაკი-მეთქი.

— ეს, ჩემო მეგობრებო, თქვენს მომავალს გოუმარჯოს! ვისაც ცოლ-შვილი გვყავს, კარგად გვიმყოფოს ღმერთმა. თქვენ, ჩემო ბიძები, ცოლის ყოლა ცუდი საქმეა, ნუ გგონიათ! ცოლს ენაცვალოს ჩემი თავი, ახლა იმას ტრამეის ფულს რომ არ მოეცა, ვერც ახალ წელს მოგილოცავდით და ვერც ვერაფერი. რა წამომიყვანდა ამ სიშორეზე ფეხით?!

— ხო მოუცია ტრამეის ფული ქალს და რას ერჩი, შე კაცო? — ჩაურთო ვილაცამ.

— აი, სწორედ მანდა ვარ მეც, გენაცვალოს ბეგლარი! აბა, ტყვილა ვანაცვალებდი თავს ცოლს? ზოგს ისეთი ცოლი ჰყავს, ხელფასს თვლით იბარებს ქმრისგან და მერე ტრამეის ფულზეც უარს ეუბნება. ასე კი არაა, ძმაო, საქმე, აბა, რა გვერნათ თქვენ?!

— ამ დროს დედაჩემი შემოვიდა ოთახში და ახლა მაინც მეშველა-მეთქი, გავიფიქრე.

ბეგლარი მკლავებგამოილი გაემართა დედაჩემისკენ და გადაეხვია, ახალი წელი მიულოცა...

— როგორა ხარ, შვილო, ერთი წელია არ გავგვარებინარ, სახლში როგორა ხარ? მეუღლე როგორ გყავს?

— რაღა როგორ მყავს, მამიდაჩემო! ამ ახალ წელს სახლიდან გამომავდი და გზის ფული ფანჯრიდან გადმომიყარა. არა, ისე ხო მაინც კარგი ცოლი მყავს, ზოგი გზის ფულსაც არ გაიმეტებდა...

ღვინით გაჟღერებული ბეგლარი ძლივს მივათრიე ლოჯინამდე.

— ბიჭო, ცოლს... ცოლს... რატომ არ... ირ... — ამოილულულა ბეგლარმა და ხვრინვა ამოუშვა.

ლილი გვასალია



— ისე როგორა ხარ, ლომო?